მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

2018 წლის 13-15 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარდება მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:„ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“

მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია ეძღვნება თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 100 წლის იუბილეს

ჩატარების ადგილი: საქართველო, თბილისი

ჩატარების თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2018 წ.

მოხსენებების თემატიკა:

პლენარული სხდომა: თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და ოსური ენის შესწავლისა და სწავლების საკითხები

კონფერენციაზე იმუშავებს ექვსი სექცია და მრგვალი მაგიდა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის:

1. ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ლექსიკოლოგია;

2. ფოლკლორისტიკა, ეთნოლოგია, ისტორია, არქეოლოგია;

3. ფილოსოფია, ეთიკა, რელიგია;

4. კულტურა და ხელოვნება;

5. ინტერდისციპლინური კვლევები;

6. მედია და მასობრივი კომუნიკაცია.

მრგვალი მაგიდა სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერებისათვის.

კონფერენციის მიზანი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, „ქართულ-ოსური ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“ მიზანია ხელი შეუწყოს ქართულ-ოსური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლას, თანამედროვე ინტერდისციპლინურ კვლევებს.

კონფერენციას დაესწრებიან და მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები, ახალგაზრდა მკვლევრები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კონფლიქტოლოგები, ექსპერტები, ჰუმანიტარული, სოციალურ-პოლიტიკური დარგების მკვლევრები.

მიმართულებები:

ფოლკლორი, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, ისტორია, ფილოსოფია, რელიგია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტურის კვლევები, ხელოვნებათმცოდნეობა, კონფლიქტები, მედია, მიგრაცია.

სამუშაო ენები:

ქართული, ოსური, ინგლისური, რუსული.

კონფერენციის რეგლამენტი:

მოხსენება - 15 წუთი;

მსჯელობა - 10 წუთი;

კონფერენციაში მონაწილეობის ფორმატი:

მოხსენება;

დასწრებული და დაუსწრებელი მონაწილეობა.

გთხოვთ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ განაცხადი და თეზისები გამოგზავნოთ 2018 წლის 25 აგვისტომდე.

შემდეგ მისამართზე: gorc.conference2018@tsu.ge

კონფერენციის წინასწარი პროგრამა:

13 ოქტომბერი - კონფერენციის გახსნა, მისალმებები, გამოფენის გახსნა: „ ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან“;

პლენარული სხდომა;

სექციური მუშაობა;

14 ოქტომბერი - სექციური მუშაობა; სტუმრად ეთნოგრაფიულ მუზეუმში: ოსური სახლი;

15 ოქტომბერი - კულტურული პროგრამა: ექსკურსია კახეთში, სახალხო დღესასწაული „კოსტაობა“ (ლაგოდეხის რაიონი, სოფ. არეშფერანი)

სააპლიკაციო ფორმა

სახელი _____

გვარი _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

_____

მოხსენების სათაური _____

_____

მობილური_____

მისამართი, ელ.ფოსტა, ტელეფონის ნომრები

საკონტაქტო ინფორმაცია

თეზისების გაფორმების წესი:

ფონტი: Sylfaen, Times New Roman

ზომა: 12

ინტერვალი: 1,5

მოცულობა: მაქსიმუმ 1 გვერდი (250 სიტყვა)

თეზისები განსახილველად გადაეცემა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს, მოხსენების პროგრამაში ჩართვის თაობაზე გეცნობებათ 2018 წლის 31 აგვისტოს.

კონფერენციის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ ღონისძიებაში მონაწილეობის სერტიფიკატები.

კონფერენციაში მონაწილე მომხსენებელთათვის არ არის დაწესებული სარეგისტრაციო გადასახადი.

კონფერენციის თეზისები და წაკითხული მოხსენებები დაიბეჭდება.

საორგანიზაციო კომიტეტის კოორდინატები:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი, ქეთევან წამებულის 55, ოთახი N 115.

საკონტაქტო პირი: ნაირა ბეპიევი ტელ.: +995599101164;

ელ.ფოსტა: gorc.conference2018@tsu.ge